



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

----- ნოე ქაშიბაძე

24 ნოემბერი 2015 წელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N19/129

2011 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 1 იანვარი

შინაარსი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	3
სსიპ სულიერებისა და კულტურის ცენტრის საქმიანობის აღწერა	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	9

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სსიპ სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ სულიერებისა და კულტურის ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) 2011 - 2014 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა „ცენტრის“ მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, „ცენტრის“ საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“¹;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის სულიერებისა და კულტურის ცენტრის შექმნის შესახებ, აფხაზეთის მთავრობის 2006 წლის 23 ივნისის N28 დადგენილება;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2011 – 2012 წლების კანონები;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;

¹ მოქმედებდა 2013 წლის 1 იანვრამდე

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა „ცენტრის“ 2011-2014 წლებში გაწეული საქმიანობა:

- „ცენტრის“ 2011, 2012, 2013 და 2014 წლების ბიუჯეტების პროექტების მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით „ცენტრზე“ დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნება განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება ცენტრის მიერ 2011 - 2014 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ცენტრის მიერ 2011 - 2014 წლებში გაწეული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ცენტრის საქმიანობის აღწერა

ცენტრის საქმიანობა მიმართულია აფხაზეთის მოსახლეობაში სულიერებისა და კულტურის დონის ამაღლებით მშვიდობიანი თანაარსებობის სულისკვეთების აღდგენისა და განმტკიცებისაკენ.

ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

- სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება საქართველოს საპატრიარქოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასთან ერთად;
- სოციალურად დაუცველი ფენებისათვის ზრუნვა;
- მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ზრუნვა;
- კაცობრიობის სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა პროპაგანდა მოქალაქეთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და შემწყნარებლობის აღსადგენად;
- კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო პროგრამული დაკვეთების განხორციელება.

თავისი ამოცანების შესრულებისას ცენტრი:

- აწყოფს საერთაშორისო და ადგილობრივ სიმპოზიუმებს კონფერენციებს ფესტივალებს სემინარებს კონკურსებს გამოფენებს გამოფენა-გაყიდვებს და სხვა;
- ბავშვებისა და მოზარდების მრავალმხრივი განვითარების მიზნით ქმნის საგანმანათლებლო სტრუქტურებს სტუდიებსა და სხვა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას

გამოვლენილი გარემოებები:

პირველადი დოკუმენტების (შესყიდვების ხელშეკრულებები, ზედნადები, მიღება - ჩაბარების აქტები, საწვავის ტრანზაქციები) შესწავლით და ხარჯვითი დოკუმენტების ანალიზით დადგინდა, რომ აუდიტის პერიოდში ცენტრის მიერ იყო შეძენილი საწვავი სხვადასხვა მომწოდებლებისგან, რომლის ხარჯვა მოხდა შემდეგნაირად:

წელი	ავტომობილის ნომერი						ჯამი	
	ADK -730		UWU-546		BJB-619/SIL-777			
	ლიტრი	თანხა	ლიტრი	თანხა	ლიტრი	თანხა	ლიტრი	თანხა
2011	2560,00	4918,10	0,00	0,00	0,00	0,00	2560,00	4918,10
2012	2330,00	4870,00	0,00	0,00	0,00	0,00	2330,00	4870,00
2013	2130,00	4060,00	490,00	928,10	90,00	177,20	2710,00	5165,30
2014	2247,00	4223,19	305,00	568,45	312,64	578,31	2864,64	5369,95

აღსანიშნავია, რომ 2011-2014 წლებში ცენტრის ბალანსზე ირიცხებოდა მხოლოდ ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება - „Opel Vectra“ 1.8i, სახ. ნომრით ADK-730. თუმცა, 2013-2014 წლებში, ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით, ბალანსზე რიცხული ავტომანქანის ხშირი რემონტის გამო, ხელმძღვანელობის სიტყვიერი მითითებით, სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად საწვავი იყო გამოყოფილი, თანამშრომლების კუთვნილი ავტომობილებისათვისაც. (სახელმწიფო ნომრით UWU – 546 და BJB-619 (ძველი), შემდგომში SIL-777.)

დოკუმენტბრუნვის მასალების აუდიტით, პირველადი დოკუმენტების შესწავლით და ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დადგინდა, რომ 2012 - 2014 წლებში ხელმძღვანელის ბრძანებით იყო დადგენილი ლიმიტები საკომუნიკაციო მომსახურებებზე:

№	თანამდებობა	ლიმიტი		
		2012	2013	2014
1	თავმჯდომარე	20	20	20
2	აპატარის უფროსი	20	20	20
3	შემოქმედებით საქმიანობის მენეჯერი	20	20	20
4	პრესს მდივანი	15	15	15
5	მთ. ბუღალტერი	15	15	15
6	მრჩველი	15	15	15
7	თანაშემწე	15	15	15
8	თანაშემწე	15	15	15

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით და აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით აღმოჩნდა, რომ აუდიტის პერიოდში გახარჯული საწვავის და გადარიცხული სატელეფონო მომსახურების ლიმიტები არ იყო შეთანხმებული ცენტრის საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან.²

რეკომენდაცია:

მნიშვნელოვანია, ცენტრის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების სრული დაცვა და შეათანხმოს ზემოაღნიშნული საქმიანობა (საწვავის და საკომუნიკაციო მომსახურების ლიმიტები) კონტროლის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოსთან.

საბუღალტრო ანგარიშგებასთან დაკავშირებული შეუსაბამოებები

გამოვლენილი გარემოებები:

ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმების შესაბამისობის შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით გამოვლინდა შემდეგი სახის შეუსაბამოებები:³

2011 წლის წლიური ბალანსის დანართ ფორმა N2 - ში, არ არის ასახული ძირითადი კაპიტალის მოხმარების თანხა, ხოლო დანართებში ფორმა N3 და ფორმა N5 -ში ფიზიკური ცვეთა ნაჩვენებია 2,668.56 ლარის ოდენობით.

2014 წლის წლიურ ბალანსის დანართ ფორმა N 5-ში მიმდინარე პერიოდში შესყიდული ჯამში 4,106.00 ლარის ღირებულების (სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 1,759.00

² საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე - 12 მუხლის, დ¹ პუნქტი;

³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

ლარი და სატრანსპორტო საშუალებები 2,347.00 ლარი) აქტივის შეძენა შეცდომით ასახულია, გრაფაში - აქტივების შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით.

აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით აღნიშნული ხარვეზები გამოწვეულია ტექნიკური შეცდომით.

ძირითადი აქტების ფიზიკური ცვეთის შესაბამისობის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ორგანიზაციას 2013 წლიდან ერიცხება არამატერიალური აქტივი - ცენტრის საიტი www.suliereba.org.ge საბალანსო ღირებულებით 640.00 ლარი, რომელსაც 2013-2014 წლებში ცვეთა არ ერიცხებოდა.⁴

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით და ორგანიზაციის მიერ დადასტურებული ინფორმაციით აღმოჩნდა, რომ ცენტრის 2011-2014 წლების ფინანსური დოკუმენტაცია (მემორიალური ორდერები და სხვა პირველადი დოკუმენტები) არ იყო აკინძული და გადანომრილი დადგენილი წესის შესაბამისად.⁵

შემოსული და გასული დოკუმენტაციის შესწავლით და ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დადგინდა, რომ 2011 – 2014 წლების ბალანსები არ იყო წარდგენილი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი შესაბამისი ორგანოსათვის.⁶ გარდა ამისა დადგინდა, რომ აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ არ იყო დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი ორგანიზაციის ბალანსის შესამოწმებლად, შედეგად ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ განხორციელებულა დადგენილი წესის შესაბამისად.⁷

რეკომენდაცია:

აუცილებელია ორგანიზაციამ გაითვალისწინოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორც არის უტყუარობა და საიმედოობა, მოხდეს ზემოაღნიშნული ხარვეზების კორექტირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის სრული დაცვით. უნდა მოხდეს ფინანსური დოკუმენტაციის აკინძვა და გადანომვრა დადგენილი წესის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ყოველწლიურად მოხდეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა კონტროლის განმახორციელებელი შესაბამისი ორგანოსათვის დასამტკიცებლად, ამასთანავე ბალანსის (ფინანსური ანგარიშგების) შემოწმება წლის ბოლოს განხორციელდეს დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 37-ის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

⁶ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე - 14 მუხლის, პირველი პუნქტი;

⁷ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე - 14 მუხლის, მე-2 პუნქტი;

არაფინანსური აქტივების განკარგვა

გამოვლენილი გარემოებები:

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ დირექტორის 26.10.2015 წლის N52 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ბალანსზე რიცხული 6 ერთეული 604.00 ლარის ღირებულების აქტივების დანაკლისი (მობილური ტელეფონი - 2 ცალი, მრიცხველი - 1 ცალი, საკანცელარიო შტამპი - 1 ცალი, ტელეფონის აპარატი - 2 ცალი) და დაუდგენელი ღირებულების 29 ერთეული აქტივის ზედმეტობა (საოფისე ფართი თოფურიას ქუჩა N10 (ს/კ 01.14.04.005.014) 169.80 კვ/მ, მაგიდა - 7 ცალი, სკამი - 7 ცალი, ტუმბო - 3 ცალი, სეიფი - 3 ცალი, კარადა - 1 ცალი, საკიდი - 1 ცალი, ტელევიზორის დასადგამი - 1 ცალი, მაცივარი - 1 ცალი, მტვერსასრუტი - 1 ცალი, კონდიციონერი - 1 ცალი, საათი - 1 ცალი, ელ. პლიტა - 1 ცალი).⁸

ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით აღნიშნული დანაკლისი გამოწვეულია, ინვენტარის განადგურებით ხანძრის შედეგად, რომელიც მოხდა ცენტრის განთავსების ყოფილ ფართზე რუსთაველის გამზ N 37 - ში მდებარე შენობაში 2015 წლის 13 იანვარს. საყურადღებოა, რომ არც ხანძრის შემდგომ და არც ახალ ფართზე გადმოსვლის პროცესში ცენტრის მიერ აქტივების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.⁹

რეკომენდაცია:

აუცილებელია გამოვლენილი დანაკლისის და ზედმეტობის აღმოფხვრა დადგენილი წესის შესაბამისად.

ბიუჯეტის შესახებ კანონის და ორგანიზაციის დებულების შეუსაბამობა

გამოვლენილი გარემოებები:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2006 წლის 23 ივნისის N28 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სულიერებისა და კულტურის ცენტრის დებულების მიხედვით, ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს აფხაზეთის მთავრობა.¹⁰ აღნიშნულის მიუხედავად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011-2014 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აფხაზეთის კანონის მიხედვით ცენტრის ასიგნებების მოცულობა განსაზღვრულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბიუჯეტში ორგანიზაციული კოდით - 06 07 01 2011, 2012 წლებში და 06 14 - 2013, 2014 წლებში.¹¹

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ე) ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტები;

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის კ) და მ) ქვეპუნქტები;

¹⁰ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სულიერებისა და კულტურის ცენტრის შექმნის შესახებ, აფხაზეთის მთავრობის 2006 წლის 23 ივნისის N28 დადგენილების მე - 5 მუხლის, 1 პუნქტი;

¹¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2011 – 2012 წლების კანონების მე-18 მუხლი, 2013-2014 წლების კანონების მე- 13 მუხლი;

რეკომენდაცია:

მნიშვნელოვანია აღნიშნული შეუსაბამობის შესახებ ცენტრმა აცნობოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს (აფხაზეთის ა/რ მთავრობა). შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ განხორციელდეს ხარვეზის აღმოფხვრა დადგენილი წესის მიხედვით.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, ცენტრის მიერ 2011-2014 წლებში გაწეული საქმიანობა, ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

24 ნოემბერი 2015 წელი

ბონდო გასვიანი

მიხეილ გოდოლაძე

ნინო ბრეგვაძე